საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 3453/01
07/04/2022

3453-01-2-202204071357

შპს „ფერო ელოის ფროდაქშენს“
მის: ქ. რუსთავი, ფიროსმანის ქ., 3-2

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი თქვენი 2022 წლის 15 მარტის N5493 განცხადება, რომელიც ეხება ქ. რუსთავში, ფეროშენადნობების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების შეცვლისა და საწარმოში დამატებითი ტექნოლოგიური ხაზის (აგლომერაციის საწარმოს და ინდუქციური ღუმელების) მოწყობისა და ექსპულატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და გაცნობებთ შემდეგს:

- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ურთიერთშეუსაბამო ინფორმაცია, კერძოდ, ანგარიშში აღნიშნულია, რომ საწარმოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა კირქვის (ფილერი) და კლინკერის დაფქვის წისქვილი, რომელის დღეის მდგომარეობით არ ფუნქციონირებს და იგეგმება მისი დემონტაჟი, თუმცა ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ მისი დემონტაჟი განხორციელდა 2019 წელს, შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას. დაზუსტებას საჭიროებს ასევე აღნიშნული ტექნოლოგიური ხაზის შემდგომში ფუნქციონირების საკითხი ვინაიდან ანგარიშში აღნიშნულია რომ, კირქვის დაფქვა წლიწადში განხორციელდება 4 თვე, კლინკერის დაფქვა წელიწადში 8 თვე და წარმოდგენილია ინფორმაცია მისი წარმოდობის და აირმტვერნარევი სისტემის ეფექტურობის შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშში (გვ.53) აღნიშნულია, რომ საწარმოში დაიგეგმა 1152 ტ/წელ ინდუქციური ღუმელის მონტაჟი, ხოლო გზშ-ის ანგარიშში (გვ.14) ასევე აღნიშნულია, რომ საწარმოში დაგეგმილია ინდუქციური ღუმელების მონტაჟი (ორი ღუმელი), რომლის წლიური წარმადობა იქნება – 4800 ტ/წელ ნადნობი 4800 საათის განმავლობაში. აღნიშნული მონაცემები ურთიერთშეუსაბამოა და საჭიროებს დაზუსტებას;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოში არ მოხდება ფეროსილიციუმის წარმოება, მოხდება მხოლოდ ფეროსილიკომანგანუმის და ფეროქრომის წარმოება. თუმცა ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ „არსებული ქარხნის ძირითადი მიზანია ფეროშენადნობების (ფეროსილიკომანგანუმი, **ფეროსილიციუმი** და ფეროქრომი) ნადნობების დამზადება – მის გასაღებასთან დაკავშირებული და სხვა ეკონომიკური

საქმიანობის განხორციელებით მოგების მიღება. ამასთან, ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია ფეროსილიციუმის წარმოებისას გაფრქვევის ინტენსივობის, ფეროსილიციუმის საკაზმე მასალის შესახებ ინფორმაცია და ა.შ. შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია საწარმოში **ფეროსილიციუმის** წარმოების შესახებ;

- გზშ-ის ანგარიშში (გვ.113) აღნიშნულია რომ, მიმდინარე საქმიანობის პროცესში დასაქმებულია 110 ადამიანი, ხოლო ექსპლუატაციის ცვლილების შემდეგ დასაქმებული იქნება 160 ადამიანი, თუმცა გზშ-ის ანგარიშში (გვ.46) ასევე აღნიშნულია რომ საწარმოს მომსახურე პერსონალი შედგება 80 მუშაკისგან, შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს საწარმოში დღეის მდგომარეობი დასაქმებული და საპროექტო ცვლილების შემდეგ დასაქმებული მუშახელის რაოდენობა;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, "წიდების დროებით დასაწყობება მოხდება წიდის დასაწყობების ორმოში და შემდგომ მისი რეალიზაცია გათვალისწინებულია საამშენებლო ღორღის სახით". ვინაიდან წიდა წარმოადგენს საწარმოო ნარჩენს გზშ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იყოს წარმოდგენილი წიდის მართვის საკითხები კერძოდ, წარმოქმნილი წიდის რაოდენობის, დროებითი დასაწყობების ადგილის (გენ-გეგმაზე დატანით), დასაწყობების პირობებისა და შემდგომი მართვის კონკრეტული ღონისძიებების დეტალური აღწერა;
- გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ჯართის მიღების, დასაწყობების პირობების და დამუშავების უბნის შესახებ ინფორმაცია, ამასთან აღნიშნული უბანი არ არის დატანილი საწარმოს გენ-გეგმაზე;
- ანგარიშში არ არის მოცემული ნავთობპრუდუქტებით დაბინძურებული ჯართის არსებობის შეთხვევაში მისი მართვისა და ჯართის აალების პრევენციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;
- გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი და დაზუსტებას საჭიროებს საწარმოო დანიშნულებით წყალმომარაგების შესახებ ინფორმაცია;
- გზშ-ის ანგარიში ტერმინოლოგიური და ორთოგრაფიული თვალსაზრისით გაუმართავია (მაგალითად „ლანშაპტი", „დასაწყოვდება", „საწარმოო ობიექტი იმს განლაგების ტერიტორიაზე", „ყოველიმე", „მორწყლისა", „პროდუქტები ჩამოისხმება ცაცხვში", „წიდების დროებით დასაწყოვება მოხდება წიდის დასაწყოების ორმოში და შემდგომ მისი რეალიზაცია გათვალისწინებულია საამშენებლო ღორღის სახით" და სხვა) და საჭიროებს კორექტირებას/რედაქტირებას;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ალტერნატივების განხილვა არ მომხდარა, რადგან საწარმოში დაგეგმილი ცვლილებები წარმოადგენს აღნიშნული საწარმოს ერთ ტექნოლოგიურ ხაზს, ვინაიდან ფოლადის სადნობი ინდუქციური ღუმელები და აგლომერაციის საწარმო არ წარმოადგენს ფეროშენადნობებთა წარმოების ერთ ტექნოლოგიურ ხაზს (განუყოფელ ნაწილს) გზშ-ის ანგარიშში განხილული უნდა იყოს ფოლადის სადნობი ინდუქციური ღუმელების და აგლომერაციის საწარმოს განთავსების ალტერნატიული ვარიანტები და შერჩეული ალტერნატივის (ტერიტორია, ტექნოლოგია) დასაბუთება გარემოსდაცვითი თვალსაზრისით, განსაკუთრებით ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების კუთხით;
- გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი 2019 წლის 15 ივლისის N2-663 ბრძანებით გაცემულ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული

პირობების შესრულების მიზნით განსაზღვრული გონივრული ვადების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია;

- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, კვირაში ერთხელ ხდება საწარმოს გარე ტერიტორიის დასუფთავება. დაზუსტებას და დეტალური ინფორმაციის წარმოდგენას საჭიროებს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, რამდენად უზრუნველყოფს სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკის შემცირებას საწარმოს ტერიტორიის კვირაში ერთხელ დასუფთავება და როგორ ხორციელდება ტერიტორიის გაწმენდა, ასევე დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნულის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენის შემდგომი მართვის საკითხი.

სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების/საკითხების გათვალისწინებით „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ განსაზღვრული სრულყოფილი დოკუმენტაციის სამინისტროში წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე